პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 მაისი ოთხშაბათი 1974 წელი 2. ერ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 106 (15927)

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ
ᲡᲙᲙᲨ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

6 მაისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ა. სუსლოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ბ. ნ. პონომარიოვი** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. **მ. ვ. ზიმიანინი,** შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის დელეგაციას, რომელშიც შედიან ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალური მდივანი ამხ. **გ. ჰოლი,** ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული თავმჯდომარე ამხ. **ჰ. უინსტონი** და ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის წევრები ამხანაგები **ჯ. ჯექსონი, დ. რუბინი** და **ჰ. უინტერი.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ გააცნო მათ ის მიზანსწრაფული, თანმიმდევრული მუშაობა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეწევა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უდიდეს წარმატებებს მეცხრე ხუთწლედის დამთავრების, კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანების გადაწყვეტის და ყრილობაზე მიღებული მშვიდობის პროგრამის განხორციელების საქმეში, პროგრამისა, რომელიც გამოხატავს სსრ კავშირის პრინციპულ კურსს ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და უშიშროების აქტიური დაცვისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის დელეგაციამ თავის მხრივ გააცნო ამერიკელ კომუნისტთა საქმიანობა, პარტიის ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის საარსებო ინტერესებისათვის, ნამდვილი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფისათვის, რასიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობის შესახებ და კვლავ დაადასტურეს, რომ საჭიროა უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა მარქსიზმის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ, მაოიზმის წინააღმდეგ, რომელიც კომუნისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამჟამრა მტერი გახდა და ყველაზე რეაქციულ ძალებთან ერთად გამოდის დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ. მათ ხაზი გაუსვეს, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების საქმეში.

ორივე მხარემ ინტერნაციონალური სოლიდარობა გამოუცხადა ახალი, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სამართლიან ბრძოლას იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, გაკიცხა რასიზმი და ყველა მისი ფორმა, გადაჭრით დაგმო თვითნებობა, რომელსაც ფაშისტური ხუნტა სჩადის ჩილეში, მოითხოვა შეწყვიტონ ჩილელ დემოკრატთა დევნა და დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ამხ. ლუის კორვალანი და სხვა პოლიტიკური პატიმრები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის დელეგაციათა შეხვედრა მიმდინარეობდა ორი პარტიის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ გულითად, ამხანაგურ ვითარებაში.

საუბარს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ამხ. ა. მ. ალექსანდროვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ამხ. ე. ი. კუსკოვი.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

7 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა. „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა და ალმა-ათაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შესაბამისად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. დ. ჯაფარიძე, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, გორის ბამბეულის კომბინატის მართველი თ. ა. დაგელაშვილი, პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ა. ო. მოვსესიანი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი ბ. ს. ქოგულია, პარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ა. ი. სკაჩკოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. კ. შარტავა, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ა. წითლიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. პატარიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნ. ზ. ჭავჭავაძე, საქართველოს სსრ. სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი, პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი რ. მ. გიორგაძე, პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. თ. თოდუა, „საქნავთობის“ ტრესტის მმართველი რ. ნ. თევზაძე, პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, პარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ე. სალარიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გაერთიანება „მთავართბილისმშენის“ № 15 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ტ. ი. ქართველიშვილი, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. მ. ხოხლოვი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის თანამდებობიდან გაათავისუფლა ფ. ს. დუღაშვილი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ პლენუმმა დაამტკიცა ო. გ. ვარძელაშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველად პლენუმმა დაამტკიცა თ. ი. ხელაშვილი.

პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

სახელოვანი მშენებელი

ვილჰელმ გალდავას ბავშვობიდანვე იტაცებდა მშენებლობა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ — 1959 წელს ახალგაზრდა თბილისის მე-14 ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს მიაკითხა. კალატოზოთან დაიწყო მუშაობა დამხმარედ. გადიოდა დრო, ვილჰელმის შრომისმოყვარეობა, მშენებლის პროფესიისადმი სწრაფვა ყველასათვის ცნობილი გახდა. 1963 სი თვის შემდეგ დამოუკიდებლად, კალატოზად დაიწყო მუშაობა, შემდეგ მლესობა და ანწეს მემანქანეობა შეისწავლა, მალე პარკეტი დაგებაც დაიწყო, შემდეგ დურგლობასაც მიჰყო ხელი.

მუშაობის პროცესში მან გამოიჩინა კარგი ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის ნიჭიც. ერთი წლის შემდეგ კომპლექსური ბრიგადა შეადგინა და სათავეში ჩაუდგა მას. მალე პრესაში გამოჩნდა მოსკოველი ბინათმშენებლის ნიკოლოზ ზლობინის ბრიგადული იჯარით მუშაობის გამოცდილება. გალდავას ბრიგადა მას საქართველოში პირველი გამოეხმაურა და შესანიშნავი წარმატებაც მოიპოვა, პირველ წელს 9-სართულიანი სახლის მშენებლობა ორი თვით ადრე დაამთავრა, შრომის ნაყოფიერება 34 პროცენტით გაზარდა; ბრიგადამ პრემიის სახით 13 ათასი მანეთი მიიღო, მშენებლობის თვითღირებულება 6,5 ათასი მანეთით შემაცირა, სახლის აშენებაზე 6.500 კაცდღის ნაცვლად 3.940 კაცდღე დახარჯა. მეორე სახლის აგება 2,5 თვით ადრე დაამთავრა, ბუთწლედის მესამე წელს კიდევ უკეთეს შედეგებს მიაღწია. შრომის ნაყოფიერება 30 პროცენტით გაზარდა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მშენებლობის ხარისხი.

3. გალდავას ბალე მიმდევარიც გამოუჩნდა. კიდევ ერთი ბრიგადაც გაჩენილა ბრიგადული იჯარით მუშაობაზე. შარშან ორივე ბრიგადამ, სადაც 61 კაცი იყო გაერთიანებული და სამმართველოს მუშახელის 30 პროცენტს შეადგენდა, მთელი სამშენებლო სამუშაოების 48 პროცენტით შეასრულა.

ტრესტის მრავალათასიანმა კოლექტივმა სახელოვანი მშენებლის შრომა დიდად დააფასა. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ობლიოსის ეროვნის № 162 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ვილჰელმ გალდავა.

სურათზე: ვ. გალდავა.

ფოტო ალ. ბინზბურგის.

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲓᲝᲑᲐ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 16 ᲯᲕᲘᲠᲐ
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციისადმი მიძღვნილი საოლქო საარჩევნო კომისიათა სხდომები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართა ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქში.

სხდომა გახსნა საოლქო კომისიის თავმჯდომარემ, ვოიკოვის სახელობის თუჯსამსხმელო ქარხნის დირექტორმა ვ. ს. კამნევმა. მან თქვა, რომ დედაქალაქის ლენინგრადის რაიონის მშრომელებმა დიდი სიხარულით შეიტყეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა გამოქვეყნებული ღია წერილიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი დათანხმდა კენჭი იყაროს ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქში.

ჩვენი ქვეყნის ბევრი მოწინავე საწარმოსა და ორგანიზაციის კოლექტივებმა ნიკოლოზ ვიქტორიანის ძე პოდგორნი დასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, თქვა ვოიკოვის სახელობის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა, ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირის თავმჯდომარემ ვ. ი. პრიბიტკოვმა. ამიტომ ჩვენი რაიონის მშრომელებს განსაკუთრებით ახარებთ, რომ ნ. ვ. პოდგორნი დათანხმდა კენჭი იყაროს ლენინგრადის საარჩევნო ოლქში.

ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირის სახელით ორატორმა სიხოვა დამსწრეთ ნ. ვ. პოდგორნი გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში და მოუწოდა მათ მხარი დაუჭირონ ამ წინადადებას.

სხდომაზე გამოვიდნენ მოსკოვის პეტრე ალექსეევის სახელობის ნინოდა მაუდის ფაბრიკის მართველი ლ. მ. კუდრიავცევი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ორჯონიკიძის სახელობის მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის აღგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. გ. ვერეტენიკოვი, საბჭოთა კავშირის ს. ი. ჟუკის სახელობის „ჰიდროპროექტის“ საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი დ. მ. იურინოვი, № 684 სკოლის მასწავლებელი, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ი. ტ. კუზმინი, სკკპ ლენინგრადის რაიკომის პირველი მდივანი, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ი. ი. რეპნიკოვი. თავიანთი კოლექტივების სახელით მათ წინადადება შეიტანეს ამხანაგი ნ. ვ. პოდგორნი რეგისტრაციაში გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა ქალაქ მოსკოვის **ლენინგრადის** საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა

დიდი ნდობა

(დასასრული).

მოსკოვის რკინიგზის ლიბობორის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორ მ ა ა. ა. ლიფანოვმა, ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის მსახიობმა, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. ი. კორეცკიმ, სოლოქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, მოსკოვის საქალაქო პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ი. ტეროვამ, მწერალმა ს. ა. კრუტილინმა, მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის ამწყობმა ზეინაბა ალმა ვ. ნ. გრომოვამ, სრულიად საკავშირო ალკა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ადრინმა.

სხდომის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **მოსკოვის საქალაქო** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა **საბჭოს თავმჯდომარე ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

კომისიის თავმჯდომარემ — „კიროვის ქარხნის" გაერთიანების ხარატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ი. კუზმინი, ლენინგრადის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის უფროსი ბ. ბ. ტრუნოვი, გაერთიანება „ოქტომბრის დროშის" ხარატი ნ. ა. კორობოვი, საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ს. ლ. სეროკუროვი. მათ ერთსულოვნად შეიტანეს წინადადება დეპუტატობის კანდიდატად გაატარონ რეგისტრაციაში მ. ა. სუსლოვი. **სოლქო საარჩევნო კომისიამ** დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს, დეპუტატობის კანდიდატად ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხეილ სუსლოვი.**

სვერდლოვსკში გაიმართა კავშირის საბჭოს არჩევნების ჩკალოვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

ურალის ქიმიური მანქანათმშენებელი ქარხნისა და ვერხ-ისეტის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასაბალეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. კირილენკო, თქვა კომისიის თავმჯდომარემ ა. ნ. შმატოვემ. საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ა. ი. კირილენკოს კანდიდატურას და სთხოვა მას დათანხმებულიყო კენჭი ეყარა ქალაქ სვერდლოვსკის ჩკალოვის საარჩევნო ოლქში. დღეს ღია ბარათიდან კმაყოფილებთ შევიტყეთ, რომ ა. ი. კირილენკო დათანხმდა იყოს ჩვენი დეპუტატობის კანდიდატი.

სოტყვა ეძლევა ურალის ქიმიური მანქანათმშენებელი ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. ნ. ტუგარინოვს. დიდი სიამაყითა და კმაყოფილებით აღიქვა ქარხნის კოლექტივმა ცნობა იმის შესახებ, რომ ანდრია პავლეს-ძე კირილენკო დათანხმდა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში, განაცხადა მან.

საწარმოს კოლექტივის სახელით ვთხოვ საოლქო კომისიას ა. ი. კირილენკო გაატაროს რეგისტრაციაში ჩკალოვის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ვერხ-ისეტის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ ა. ვ. შჩერბინინმა, სვერდლოვსკის ხორცის კომბინატის მუშამ პ. ი. კონაკოვამ, ქალაქ სვერდლოვსკის სრულიად საკავშირო ალკა ჩკალოვის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ა. დენისენკომ და სხვებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ანდრია პავლეს-ძე კირილენკო** რეგისტრაციაში გაატაროს ქალაქ სვერდლოვსკის **ჩკალოვის საარჩევნო** ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის დიდაჭალაქში გაიმართა კავშირის საბჭოს არჩევნების მინსკის მეორე საქალაქო საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარემ. მინსკის № 2 საავტომატო-საამშენებლო ტრესტის მიპარატების ბრიგადის ხელმძღვანელმა ბელორუსიის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა მშენებელმა ვ. ს. ალრიკომ თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს თანხმობას კენჭი იყაროს მინსკის მეორე საქალაქო საარჩევნო ოლქში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ქალაქის მშრომელნი.

სხდომაზე გამოვიდა ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი პ. ი. იაშჩერინინი და სხვები. მათ შეიტანეს წინადადება მინსკის მეორე საქალაქო საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად ა. ა. გრომიკოს რეგისტრაციის შესახებ.

ერთხმად მიიღეს დადგენილება: რეგისტრაციაში გაატაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კავშირის საბჭოს არჩევნების **მინსკის მეორე საქალაქო** საარჩევნო ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ანდრია ანდრიას-ძე გრომიკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართა მოსკოვის ოლქის კაშირის საარჩევნო ოლქში.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, კაშირის გ. მ. კრჟიჟანოვსკის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დირექტორმა ვ. ვ. ალექსინმა. მან შეკრებილთ გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა ღია წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, და თქვა, რომ ამომრჩეველები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **იური ვლადიმერის-ძე ანდროპოვი.** (საკვლევი).



ოპოლიზის ორჯონიკიძის რაიონის № 17/17 საარჩევნო უბანში, რომელიც ლენინის ქუჩაზე ტრეტ „საქნავთობის" შენობაშია მოთავსებული, აგიტატორები (მარცხნიდან) რ. მგელაძე, გ. მჭედლიშვილი, ლ. ოჩიგავა, ლ. ბახილაშვილი და დ. ჩაჩავა აზუსტებენ ამომრჩეველთა სიებს.

ბ. გოგოლიშვილის ფოტო.

ხალხის ნება-სურვილით

სსრ კავშირის უმაღლესი **საბჭოს** კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართა თბილისის ორჯონიკიძის № 678 საარჩევნო ოლქში. ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ილია ნესტორის-ძე ვეკუა.**

სსრ კავშირის **უმაღლესი საბჭოს** ეროვნებათა **საბჭოს** არჩევნების **ახალქალაქის № 168** საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ახალქალაქის „რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის მწველავი **ეკენია ამოტის ასული პაპოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჯავის № 738 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომ ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ შ. რუსთაველის სახელობის და კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრებისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი **ხოფიო მიხეილის ასული ჭიაურელი.**

გაიმართა **სსრ** კავშირის უმაღლესი **საბჭოს** კავშირის **საბჭოს** არჩევნების ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

კომისიის **თავმჯდომარემ — „კიროვის ქარხნის"** გაერთიანების ხარატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბ. მ. ვორობიოვმა განაცხადა, რომ „კიროვის ქარხნის" გაერთიანების, ა. ა. ჟდანოვის სახელობის გემთსაშენებელი ქარხნისა და ლენინგრადის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიროვის საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ვერხ-ისეტის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ ა. ვ. შჩერბინინმა, სვერდლოვსკის ხორცის კომბინატის მუშამ პ. ი. კონაკოვამ, ქალაქ სვერდლოვსკის სრულიად საკავშირო ალკა ჩკალოვის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ა. დენისენკომ და სხვებმა.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ანდრია პავლეს-ძე კირილენკო** რეგისტრაციაში გაატაროს ქალაქ სვერდლოვსკის **ჩკალოვის საარჩევნო** ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის დიდაჭალაქში გაიმართა კავშირის საბჭოს არჩევნების მინსკის მეორე საქალაქო საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარემ. მინსკის № 2 საავტომატო-საამშენებლო ტრესტის მიპარატების ბრიგადის ხელმძღვანელმა ბელორუსიის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა მშენებელმა ვ. ს. ალრიკომ თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს თანხმობას კენჭი იყაროს მინსკის მეორე საქალაქო საარჩევნო ოლქში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ქალაქის მშრომელნი.

სხდომაზე გამოვიდა ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი პ. ი. იაშჩერინინი და სხვები. მათ შეიტანეს წინადადება მინსკის მეორე საქალაქო საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად ა. ა. გრომიკოს რეგისტრაციის შესახებ.

ერთხმად მიიღეს დადგენილება: რეგისტრაციაში გაატაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **კავშირის** საბჭოს **მინსკის მეორე საქალაქო** საარჩევნო ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ანდრია ანდრიას-ძე გრომიკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართა მოსკოვის ოლქის კაშირის საარჩევნო ოლქში.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, კაშირის გ. მ. კრჟიჟანოვსკის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დირექტორმა ვ. ვ. ალექსინმა. მან შეკრებილთ გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა ღია წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, და თქვა, რომ ამომრჩეველები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **იური ვლადიმერის-ძე ანდროპოვი.** (საკვლევი).

• ეკონომიური განათლება — მასებს! •

ვიდრე შევაჯამებდეთ

1973-1974 სასწავლო წლის შედეგებს

პირველ სასწავლო წელი მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემაში დამამთავრებელი სტადიაში შედის. 1973-1974 სასწავლო წელი მიმდინარეობს კომუნისტების, ყველა მშრომელთა მადალი შრომითი და საზოგადოებრივ, პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებს მშრომელთა ეკონომიური განათლების მწყობრი სისტემა. სწავლების სხვადასხვა ფორმაში ეკონომიურ ცოდნას ეუფლება 335 ათასზე მეტი კაცი.

მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის ვადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემაჯამებელი მეცადინეობების ორგანიზებულად მოწყობას.

შემაჯამებელ მეცადინეობათა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ზემოქმედება მოახდინონ მსმენელთა ინიციატივისა და აქტივობის ამაღლებაზე სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის, იმ მოწოდებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სტატიაში ყამრის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ალმა-ათაში.

შემაჯამებელი მეცადინეობების შინაარსის განსაზღვრისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა კატეგორიის მსმენელთა სიერთო მოშადების დონე, მათი ინდივიდუალური თავისებურებები, მათი უნარი, ინტერესები და მასალისადმი სეტიციო�ა.

შედეგების შეჯამების წესი, ფორმები და მეთოდები შეიძლება სხვადასხვა იყოს. ეს დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რომლებიც დასახულია შემაჯამებელი მეცადინეობების წინაშე მსმენელთა კატეგორიების, სასწავლო პროგრამების მოცულობისა და ხირთულის გათვალისწინებით. მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ჯგუფური და ინდივიდუალური გასაუბრებები, პრაქტიკული დავალებების შესრულება, მსმენელთა რეფერატების განხილვა, სასწავლო-პრაქტიკული კონფერენციები და სხვ. უკანასკნელი პერიოდში მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემაში დამკვიდრდა აგრეთვე ჩაუოვლისა და გამოცდების მოწყობა. მაგრამ როგორი ფორმითაც უნდა მოიწყოს სწავლების შედეგების შეჯამება, მან ყოველ მსმენელს საშუალება უნდა მისცეს გამოიჩინოს აქტივობა და დამოუკიდებლობა განვლილი მასალის გააზრებაში.

შემაჯამებელი მეცადინეობებისათვის მზადების პროცესში პარტიულ ორგანიზაციებში უნდა ჩატარდეს კონსულტაციები. ამ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული საწარმოთა ეკონომიური სამსახურები. ამ სამსახურების მუშაკები საწარმოს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და მშრომელთა ეკონომიური განათლების სახლებიდან ეროს ეკონომიური განათლების ბიუროს წევრებთან ერთად უნდა დაეხმარონ მსმენელებს განვლილი მასალის გააზრებაში, პრაქტიკული დავალებების შესრულებასა და რეფერატების მომზადებაში.

მიზანშეწონილია შედეგების, შეჯამების შემდეგი წესის გამოყენება.

I. მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემის დაწყებით რგოლში „ეკონომიური ცოდნის საფუძვლების" კურსების მიხედვით სწავლების ყველა ფორმაში მუშაობისა და კოლმეურნეებისათვის, რომლებმაც უკვე გაიარეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემები, რეკომენდებულია მოეწყოს გამოცდა.

გამოცდის წარმატებით ჩაბარება გათვალისწინებულ უნდა იქნას მუშებისა და კოლმეურნეებისათვის მორიგი თანრიგების მინიჭებისას, ხოლო სპეციალისტებისათვის — ატესტაციის დროს.

„ეკონომიური ცოდნის საფუძვლების" კურსების მიხედვით გამოცდა უნდა მოეწყოს გასაუბრების სახით, გასაუბრების თემატიკის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საკონტროლო კითხვებზე გავლილი თემების საკანონო საკითხების მიხედვით. მიზანშეწონილია გასაუბრების თემატიკა ითვალისწინებდეს ასეთ საკონტროლო კითხვებს: რა ღონისძიებები სორციელდება თქვენს საწარმოში, მეურნეობაში წარმოების ინტენსიფიკაციისათვის? წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რა რეზერვებია თქვენს საამქროში, განყოფილებაში, ბრიგადაში, სამუშაო ადგილზე? მმართველობაში მშრომელთა მონაწილეობის რა ფორმებია გამოყენებული თქვენს კოლექტივში? რა ღონისძიებები სორციელდება თქვენს საწარმოში, მეურნეობაში წარმოების მართვის სრულყოფისათვის? როგორი სახის გეგმები მუშავდება თქვენს საწარმოში, მეურნეობაში? რა ვალდებულებებს შეიცავს თქვენი საწარმოს, მეურნეობის, საამქროს, განყოფილების, ბრიგადის შემუშავებული გეგმა და როგორ სრულდება იგი? რა მაზვენებლებით ხასიათდება და როგორ იზომება შრომის ნაყოფიერება? როგორია ნათესი ფართობების სტრუქტურა თქვენს მეურნეობაში? რა ღონისძიებებს ხარჯზე შეიძლება მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება თქვენს მეურნეობაში? როგორ არის დასაბუთებული შრომის ნაყოფიერების ამაღლების თქვენი პირადი გეგმა? რიტმულად მუშაობს თუ არა თქვენი საწარმო, საამქრო, უბანი? და ა. შ.

გამოცდის ჩასატარებლად იქმნება კომისია პრომპაგანდისტისა და ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომისია აკეთებს დასკვნას თვითეული მუშაკის ეკონომიური მომზადების შესახებ სასწავლო კურსის მოცულობით. გამოცდების ჩაბარების შედეგების მიხედვით კონკრეტულ ეკონომიურ სკოლასა ან სემინარში (თუ კომისიამ დაასკვნა, რომ მსმენელებმა საკმაოდ სრულად და ღრმად ვერ შეისწავლეს ყველა თემა და სათანადოდ არ არიან მომზადებული გამოცდისათვის) მშრომელთა ეკონომიური განათლების ადგილობრივი ბიუროს გადაწყვეტილებით მეცადინეობა კურსის მიხედვით შეიძლება გაგრძელდეს მესამე სასწავლო წელსაც.

იმ მსმენელებისათვის, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წელს არ გამთავრებენ კურსის შესწავლას, შემაჯამებელი მეცადინეობა ეწყობა ჩვეულებრივი წესით. მუშებისა და კოლმეურნეებისათვის მიზანშეწონილია მოეწყოს მეცადინეობა ისეთ საკითხებზე, რომლებიც საწარმოებს იძლევიან შიმოწმდეს და შეეავსოს მსმენელთა ცოდნა „ეკონომიური ცოდნის საფუძვლების" კურსებზე გავლილი თემების მიხედვით. საჭიროა აგრეთვე ფართოდ იქნას გამოყენებული პრაქტიკული დავალებების შესრულება, რომლებიც უნდა ითვალისწინებდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომისა და წარმოების რაციონალური ორგანიზაციის ეკონომიურად დასაბუთებულ კონკრეტულ წინადადებებს.

II. მშრომელთა ეკონომიური განათლების საფეხურ რგოლში „წარმოების ეკონომიკისა და მართვის საფუძვლების" კურსების მიხედვით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის საჭიროა მოეწყოს შემაჯამებელი მეცადინეობა გავლილი თემების ძირითად საკითხებზე. ამ მეცადინეობაზე განხილულ უნდა იქნას მსმენელთა მიერ მომზადებული რეფერატები, რომლებიც უნდა შეიცავდნენ ეკონომიურად დასაბუთებულ კონკრეტულ წინადადებებს მოცემულ საწარმოში შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

რეფერატებისათვის რეკომენდებულია შემდეგი თემატიკა: „საწარმოს, მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები მეცხრე ხუთწლედში", „საამქროს, განყოფილების, უბნის, ბრიგადის ხუთწლიანი გეგმის შესრულების ანალიზი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით", „მეურნეობის გაძღოლის ინტენსიური მეთოდები და მათი გამოყენება საამქროში, განყოფილებაში", „სკკპ XXIV ყრილობა ეკონომიკის მართვის სისტემის სრულყოფის შესახებ", „ერთმმართველობის შრწყმა შრომელთა ქმედით მონაწილეობასთან წარმოების მართვაში", „წარმოების მართვის სისტემის სრულყოფა (თქვენი საწარმოს, მეურნეობის მაგალითზე)", „საამქროს, განყოფილების, ბრიგადის, უბნის მიერ პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების ანალიზი ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით", „სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლების გზები შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებაში ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს" და ა. შ.

III. შემდეგმის შეჯამებისას ეკონომიური განათლების უმაღლეს რგოლში „მართვის მეცნიერებისა და პრაქტიკის" და „სოციალისტური წარმოების მეცნიერული მართვის საფუძვლების" კურსების მიხედვით — სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი კადრებისათვის, საწარმოების, გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისათვის საჭიროა მოეწყოს სასწავლო-პრაქტიკული კონფერენციები გავლილი თემების აქტუალურ ეკონომიურ პრობლემებზე. ამ კონფერენციებზე განიხილება მსმენელთა მოხსენებები და რეფერატები, რომლებიც უნდა შეიცავდნენ დარგის, საწარმოს ეკონომიური განვითარების ანალიზს კონკრეტულ ვითარებასთან მჭიდრო კავშირში, პრაქტიკულ წინადადებებს წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

სასწავლო წლის შედეგების შეჯამება უნდა ჩატარდეს მაღალი მომთხოვნელობის, საქმიან ვითარებაში, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიის საოლქო, საქალაქო, და რაიონულ კომიტეტთან, აგრეთვე სამინისტროებსა და უწყებებთან, საწარმოებსა და დაწესებულებებთან. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან არსებულმა მშრომელთა ეკონომიური განათლების საბჭოებმა და ბიუროებმა ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ პრომპაგანდისტებს შემაჯამებელი მეცადინეობის მაღალ დონეზე მოწყობისათვის.

სასწავლო წლის შედეგები განხილულ უნდა იქნას მშრომელთა ეკონომიური განათლების საბჭოებისა და ბიუროების სხდომებზე, პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, ბიუროს სხდომებზე, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიებზე, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე.

სასწავლო — წლის დამთავრება მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემაში სრულიადაც არ ნიშნავს ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის შეწყვეტას. ყურადღება ეკონომიკის საკითხებისადმი არ უნდა შესუსტდეს საფუძულის პერიოდშიც, საჭიროა ფართოდ გაიშალოს ლექციური პროპაგანდა. ამ დროს წინა პლანზე გამოდის ისეთი საკითხები, როგორიც არის ახალი სასწავლო წლისათვის მზადება, მსმენელებისათვის დახმარების გაწევა მიღებული ეკონომიური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საქმეში და სხვ.

სასწავლო წლის შედეგების შეჯამება მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემაში პარტიული ორგანიზაციისა და სამეურნეო ხელმძღვანელების მთელი ორგანიზაციული და მეთოდური მუშაობის თავისებური დათვალიერებაა. სწორედ ამიტომ შემაჯამებელი მეცადინეობები განხილულ უნდა იქნას, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპი მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებაში ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

ბ. ჭურაძე,
მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს მდივანი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

თ. ზუკაკიშვილი,
მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის უფროსი მეთოდისტი.

სიახლეებს დანერგვა უნდა

მეცნიერება — წარმოებას!

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი — ეს ერთ-ერთი მთავარი საზოგადოებრივი ფუნქციაა წარმოების სრულყოფა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდება. ეს თავის მხრივ განპირობებულია ტექნიკური პროგრესით.

ტექნიკურ პროგრესს აჩარებს მეცნიერების მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვა.

კაცობრიობის ისტორიაში ტექნიკური პროგრესი ყოველთვის თან სდევდა მეცნიერულ აღმოჩენებს, მაგრამ აღმოჩენიდან აღმოჩენამდე დიდი დრო გადიოდა და, სათანადოდ, ტექნიკური წინსვლაც ნელი იყო.

ახლა, როდესაც მეცნიერული აღმოჩენები განუწყვეტლივ მისდევენ ერთმანეთს, ლაპარაკია არა საერთოდ ტექნიკურ პროგრესზე, არამედ ტექნიკური პროგრესის ტემპზე, ესე იგი იმ დროის შემცირებაზე, რომელიც უნდა დახარჯდეს აღმოჩენის თუ მეცნიერული შედეგის წარმოებამდე დაყვანას.

ახლა არა დგას საკითხი მეცნიერების მიღწევათა უკმარობის შესახებ, ახლა უფრო დამაფიქრებელია ის, თუ ჩვენ რამდენად შეგვიძლია მეცნიერების მიღწევების გამოყენების უნარი, რამდენად ჩქარა შეგვიძლია მეცნიერული შედეგის რეალიზაცია სახალხო მეურნეობაში.

ხშირად ერთმანეთში ურევენ დანერგვას და ათვისებას. ერთხელ დანერგილის გამოყენება (გადატანა) სხვა წარმოებაში — ეს ათვისებაა. ათვისების პროცესში სამეცნიერო დაწესებულების როლი უფრო მეტია და შეიძლება ატარებდეს კონსულტაციების სახეობის. დანერგვაში კი სამეცნიერო დაწესებულება უშუალო მონაწილეა.

დანერგვა იწყება მას შემდეგ, როდესაც უკვე გვაქვს ფუნდამენტური გამოკვლევის ახალი შედეგი — ახალი ქანონზომიერება. ეფექტი ან მოვლენა. ესენი წარმოებაში რომ გამოვიყენოთ, ამისათვის — პირველ ეტაპზე უნდა გამოიძებნოს ამ მეცნიერული შედეგის წარმოებაში გამოყენების პრინციპული გზები და შესაძლებლობები. ეს მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას, ამას ხშირად თვით ავტორი, ინსტიტუტი ვერ აკეთებს და უფრო ხშირად შესასრულებლად საჭიროებს სხვა დაწესებულებებსა და საწარმოო ობიექტებს.

ჩვენ რომ დანერგვის პასუხისმგებლობა დავაკისროთ მხოლოდ სამეცნიერო დაწესებულებას, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება, ეს დაახლოებით იგივეა, დრამატურგს რომ დავაკისროთ სპექტაკლის დადგმის მთელი პასუხისმგებლობა.

ამის გამოა, რომ ახლა დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროების, ტექნოლოგიური ხასიათის საუწყებო ინსტიტუტებისა და წარმოების შემოქმედებითი თანამშრომლობის განვითარებას.

მეცნიერული შედეგის სახალხო მეურნეობაში დანერგვით შეიძლება მიღებულ იქნას სხვადასხვა ეფექტი — ეკონომიური, სოციალური, და სამეცნიერო-ტექნიკური.

ეფექტი სოციალური, თუ დანერგვის შედეგად უმჯობესდება შრომის პირობები. მსუბუქდება შრომა და დაცულია შრომელთა ჯანმრთელობა და „სხვ. ამ შემთხვევაში ძნელია უშუალო ეკონომიური ეფექტის დადგენა მანვითობი. მაგალითად, სამეცნიერო მუშაობა, რომელიც მიმართულია მანქანების ხმაურის შესამცირებლად, არ მოგვცემს ფულით გამოხატულ ეკონომიას, მაგრამ მისი სოციალური ეფექტი უდიდესია, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას.

დანერგვის ეფექტი სამეცნიერო-ტექნიკურია, როდესაც მეცნიერული შრომის შედეგი (ძირითადად ბეჭდვითი პროდუქცია) გამოყენებას პოულობს სხვადასხვა სახელმძღვანელო ნორმების, კონსტრუქციების ან ტექნოლოგიური პროცესების ჯაგნარიშების ახალი მეთოდების და სხვა ამგვარების სახით. ასეთი სამუშაოები შეიძლება უშუალოდ არ იქნას გამოყენებული ამა თუ იმ საწარმოში, მაგრამ ისინი გაელვნას ახდენენ წარმოების სრულყოფაზე საკონსტრუქტორო ბიუროების, ტექნოლოგიური ბიუროებისა და საპროექტო ორგანიზაციების სამუშაოებით, რადგან წარმოადგენენ სახელმძღვანელო მასალას ახალი მანქანების, ტექნოლოგიური ხაზების და სხვათა დაგეგმარების დროს. ამ შემთხვევაშიც საწარმოო ეფექტის მანვითობთ გამოსახვა თითქმის შეუძლებელია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო პროდუქცია შეიცავს სამიეე სახის დასანერგ სამუშაოებს, ამის გამო შესაბამისად მისი შესაძლებლობები დიდია. აკადემიის ინსტიტუტებში ბევრი მნიშვნელოვანი მეცნიერული საკითხია გადაწყვეტილი და ბევრი გადაწყვეტის პროცესშია, ბევრი მიღებული მეცნიერული შედეგი დანერგილია და ბევრი დანერგვის პროცესშია. მაგრამ შეტის გაკეთება და უკეთ გაკეთება შეიძლება.

აკადემიის პრეზიდიუმის მიზანია შემცირდა მოპოვებული მადნის თვითღირებულება. გარდა ამისა, განცალკევებული მოპოვებისას არ ხდება მდიდარი და ღარიბი მადნების ერთმანეთთან შერევა, რის გამო უმჯობესდება ძირითადი პროდუქციის ხარისხი. ეკონომიური ეფექტი ამ ადგილას ასეთია: ერთ ტონა მადნის ხარისხი ერთ ერთეულით გაიზარდა, ეს ნიშნავს, რომ ერთ ტონა ფოლადზე 1 ტონა ნაკლები ანთრაციტია საჭირო. ეს ეფექტი ეროვნულ ეკონომიკაში ასეთ ციფრებს ადგენს: 1 ერთეულ ხარისხზე 1 ტონა ფოლადზე 1 ტონა ანთრაციტი. ეს ეფექტი ეროვნულ ეკონომიკაში ასეთ ციფრებს ადგენს: 1 ერთეულ ხარისხზე 1 ტონა ფოლადზე 1 ტონა ანთრაციტი. ეს ეფექტი ეროვნულ ეკონომიკაში ასეთ ციფრ

ამბები • ფაქტები

საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო სირიის არაბთა რესპუბლიკაში ვიზიტის დამთავრების შემდეგ დღეს დამასკოდან გაემგზავრა.

ბონი

დაასახელეს პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი

ლისაბონი

დემოკრატიული მოძრაობა სულ უფრო ძლიერდება

მსოფლიო დღეს

ვიზიტი დამთავრდა

დამასკო, 7 მაისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო სირიის არაბთა რესპუბლიკაში ვიზიტის დამთავრების შემდეგ დღეს დამასკოდან გაემგზავრა.

დამასკოდან გაფრენის წინ მოკლე სიტყვაში ა. ა. გრომიკომ აღაფოფინებლა გამოთქვა ვიზიტის გამო. სირიის ხელმძღვანელებთან საუბრები, აღნიშნა მან, ფრიად სასარგებლო იყო. ეს ვიზიტი ახალი ნაბიჯია ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში.

სირიაში ა. ა. გრომიკოს ვიზიტის შესახებ

სირია მთავრობის მიწვევით 1974 წლის 5-7 მაისს დამასკოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. იგი მიიღო არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურმა მდივანმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰ. ალ-ასადმა საბჭოთა კავშირში პრეზიდენტის უკანასკნელი ვიზიტის დროს, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-სირიის სხვა გამოჩენილებული კომუნიკაციების დებულებანი.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ახლო აღმოსავლეთში შექმნილი დგომარეობის საკითხებზე. ორივე მხარემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ სამართლიან და მტკიცე მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში საფუძველად უნდა დაედოს ისრაელის ჯარების გამოყვანა 1967 წლის ივნისის აგრესიის დროს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების დაცვა.

სირიის თრონტზე ჯარების დაშორიშორების საკითხის განხილვისას ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს სირიის პოზიციას ამ საკითხში. ამასთან მხარეებმა ყველა დაადასტურეს, რომ ჯარების დაშორიშორება მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც ნაბიჯი ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოვლისმომცველი სამართლიანი გადაჭრის გზაზე.

ა. ა. გრომიკო მწვია პრეზიდენტ მაკარიოსს

ნიკოზია, 7 მაისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო დღეს მწვია კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს არქიეპისკოპოს მაკარიოსს და მეგობრულად ესაუბრა მას.

საუბრის დროს ერთმანეთს გაუზიარეს აზრი როგორც სსრ კავშირისა და კვიპროსის ურთიერთობის საკითხებზე, იმავე ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე, რომლებიც ორივე ქვეყნისათვის საინტერესოა. ახეთ პრობლემებს შორის შეეხნენ აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების პრობლემას.

პრეზიდენტმა მაკარიოსმა თავისა და კვიპროსელი ხალხის სახელითმადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირს მისი პოზიციისათვის კვიპროსის საკითხში და ხელშეწყობისათვის კვიპროსის რესპუბლიკის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცების საქმეში.

ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებდა და ახორციელებს თანამიმდევრულ და პრინციპულ პოლიტიკას, რომლის მიზანია კვიპროსის სახელმწიფოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება.

ვ. ბრანდტი გადადგა

ბონი, 7 მაისი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გადადგა ფედერალური კანცლერი ვ. ბრანდტი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰაინემანისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ბრანდტი ითხოვდა, ვიდრე სხვას აირჩევდეთ კანცლერის მოვალეობანი დროებით ვიცე-კანცლერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შეელმა შეასრულოსო.

გ. ჰაინემანი დათანხმდა ვ. ბრანდტის გადადგომას. ახალ კანცლერს, როგორც იუწყებიან, აღბათ, ბუნდესტაგის 16 მაისის სხდომაზე აირჩევენ.

ვ. ბრანდტის გადადგომასთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობაზე იმსჯელა დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის სხდომამ. პრეზიდიუმმა ერთხმად დაუჭირა მხარი ვ. ბრანდტის წინადადებას, რომ პარტიის თავმჯდომარის მოადგილე და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი გ. შმიდტი დაასახელონ ფედერალური კანცლერის პოსტზე. ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარუდგენეს პარტიის გამგეობასა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციას.

პრეზიდიუმის სხდომის შემდეგ პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. კიუნგა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ვ. ბრანდტი რჩება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ და ამ პოსტზე მას კვლავაც „ერთხმად დაუჭერს მხარს მთელი პარტია“. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა აგრეთვე განცხადება და გადაჭრით დაგმო ოპოზიცია, რომელმაც უკანასკნელ ხანს კამპანია გააჩაღა გ. ბრანდტის წინააღმდეგ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ვ. ბრანდტი „პირადად განსაკუთრებით უწყობდა ხელს მშვიდობის უზრუნველყოფას მთელ მსოფლიოში და სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუჯანსაღებას“.

დაიწყო ახალი ეტაპი

პარიზი, 6 მაისი. (საკდესი). პოლიტიკური ცხოვრება პორტუგალიაში დიდმნიშვნელოვან ეტაპში შედის — მიმდინარეობს მზადება დროებითი მთავრობის შესაქმნელად, რომელიც ქვეყანას განაგებს საყოველთაო არჩევნების მოწყობამდე.

ამ დღეებში გაიმართა მთელი რიგი პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელი ორგანოების სხდომები, რომლებზეც განიხილეს მათი დამოკიდებულება დროებითი მთავრობის შედგენილობა. ამავე დროს ხსნის ეროვნული საბჭო ამ საკითხზე მოლაპარაკებას აწარმოებს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღფასებულია მიმდინარე მომენტი.

კომპარტიას მიაჩნია, რომ ყველა წარმომადგენლობითი დემოკრატიული პარტიისა და დაჯგუფების მონაწილეობა დროებით მთავრობაში დემოკრატიის უზრუნველყოფისა და თავისუფალი არჩევნების მოწყობის გარანტია იქნება.

- მზადება დროებითი მთავრობის შესაქმნელად
- პორტუგალიის კომპარტიის ცკ-ის განცხადება
- ფაშისტური რეაქცია ცდილობს თავი წამოყოს

დემოკრატიულმა მოძრაობამ, რომელიც ანტიფაშისტური ძალების ერთიანი ფრონტის პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმომადგენს, აგრეთვე გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ დროებითმა მთავრობამ უნდა განახორციელოს პოლიტიკა „შეიარაღებული ძალების მოძრაობის“ პროგრამის საფუძველზე, რომელიც მოიწონეს და დაადასტურეს ხალხის მასებმა.

ამ ბოლო დროს ბურუჟუაზიაც ახორციელებს ღონისძიებებს თავისი პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციისათვის.

მეორე მხრივ, ფაშისტური რეაქციაც ცდილობს თავი წამოყოს.

ბონი, 6 მაისი. (საკდესი). პორტუგალიის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მ. სოარეშმა დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შპიგელისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „საეშოროება იმით გამოახატება, რომ თუმცა ახალ რეჟიმს აქვს სამთავრობო ხელისუფლება ქეველანაში, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ მოეპოვება ეკონომიური ძალერება, რომელიც, ისე როგორც ეიბათ, მსხვილი მეწარმეებისა და ოლიგარქიების ხელშია. ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის მოგებული. შეშფოთებას იწვევს ის, რომ ამჟამად აქ იწყებენ ნაღირობას პოლიციის წვრილ მოხელეებზე, რომლებიც არსებითად მხოლოდ ბრძანებათა შემსრულებლები იყვნენ. ამავე დროს ამათ, ვინც ნამდვილად დამნაშავეა, და ერთ-ორ, უწინდელი რეჟიმის მინისტრებმა, საკმაოდ ადვილად თავიდან სასჯელი. მე არ მინდა ვალაპარაკო შურისძიებაზე. მაგრამ არ მინდა აგრეთვე, რომ ვინმე ამ ქვეყანაში დაშვებით გეგმავდეს კონტრრევოლუციას. ამ საფრთხის წინაშე შეიარაღებული ძალები, ჩემი აზრით, მეტისმეტად ამყარებენ იმედს თავიანთ საკუთარ ძალაზე“.

შრომა და კაპიტალი

ქმერიკის შეერთებული შტატები

შუაპირზარ ბრძოლას ეწევიან ამერიკელი მშრომელები თავიანთი საარსებო ინტერესების დასაცავად. ამას წინათ მეტალურგიული მრეწველობის რამდენიმე ათასმა კაცმა, რომლებიც დასაქმებული არიან ქვეყნის სხვადასხვა საწარმოში, გამოაცხადა გაფიცვა. ისინი მეწარმეებისაგან მოითხოვენ ხელფასის მომატებას, რადგან ცხოვრება დღითიდღე ძვირდება.

სურათზე: გაფიცულ მელითონეთა პიკეტი ქალაქ სიეტლის ერთ-ერთ საწარმოში.

საკდესის ფოტო.

მშვიდობიანი კოსმოსისათვის

ჟენევა, 7 მაისი. (საკდესი). ჟენევის ერთა სასახლეში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენების კომიტეტის იურიდიული ქვეკომიტეტის მე-13 სესია.

სესიას ესწრებიან 30-ზე მეტი ქვეყნის, მათ შორის სოციალისტური სახელმწიფოების, განვითარებადი და კაპიტალისტური ქვეყნების დელეგაციები. იურიდიული ქვეკომიტეტის სესიის მუშაობაში პირველად მონაწილეობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენების კომიტეტში სსრკ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი პროფესორი ა. ს. პირადოვი.

იურიდიული ქვეკომიტეტის მე-13 სესიის დღის წესრიგშია მთელი რიგი აქტუალური პრობლემები, რომლებიც ეხება კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენების სამართლებრივ რეგულირებას.

ოპოზიციის კანდიდატი

ბონი, 7 მაისი. (საკდესი). ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ-ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციისაგან ფედერალური კრების წევრთა აქ გამართულ კონფერენციაზე რ. ფონ ვაიცზეკერი დასახელეს ამ ოპოზიციური პარტიის კანდიდატად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე. ვაიცზეკერის კანდიდატურას ხმა მისცა 395 კაცმა კონფერენციის 397 მონაწილეთაგან.

პრეზიდენტის არჩევნები დანიშნულია 15 მაისს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და თავისუფალ დემოკრატთა პარტიამ, რომლებიც სათავეში უდგანან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, წინათ უკვე დასახელეს პრეზიდენტობის თავიანთი კანდიდატი. ეს არის ახლანდელი ფიცე-კანცლერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ შეელი.

ფედერალურ კრებაში, რომელიც აირჩევს სახელმწიფოს მეთაურს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია — თავისუფალ დემოკრატთა პარტიის მთავრობის კოალიციას აქვს 535 მანდატი, ხოლო ოპოზიციურ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ-ქრისტიანულ-სოციალურ კავშირს — 501.

ახლო აღმოსავლეთი

ამწვავებენ ვითარებას

ბრძოლდება ისრაელის პროვოკაციები ლიბანისა და სირიის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 7 მაისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი ახლო აღმოსავლეთში იტყობინებიან, რომ გრძელდება ისრაელის პროვოკაციები ლიბანისა და სირიის წინააღმდეგ. მაისის პირველ დღეებში ლიბანის ტერიტორიას ისრაელმა მრავალჯერ დაუშინა ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნებისა და ქვემეხების ცეცხლი. მარტო 2 მაისს ისრაელის თვითმფრინავებმა 30-ჯერ და მეტად დაარღვიეს ლიბანის საჰაერო სივრცე.

სირია-ისრაელის სექტორში ორივე მხარეს შორის ყოველდღიურად იმართება გააფთრებული გაჭიანურებული სროლა. 2 მაისს ისრაელის ავიაციამ დაბომბა სირიის პოზიციები ჰერმონის მთის რაიონში. იმავე დღეს ისრაელმა ქვემეხების ცეცხლით დაზიანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი საპატრულო პუნქტის საცხოვრებელი სახლები და მოწყობილობა.

სირიის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჰ. ალ-კილანი აშკარად დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ ისრაელი განზრახ ესხმის თავს პუნქტებს, რომლებშიც სამხედრო ობიექტები არ არის. წერილში ჩამოთვლილია დასახელებული პუნქტები, რომლებსაც ისრაელის მხედრიონი დაესხა თავს.

წერილში აღნიშნულია, რომ ტელ-ავივის დანაშაულებრივი მოქმედება ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციისა (ეს კონვენცია კრძალავს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ აგრესიულ აქტებს) და ახლო აღმოსავლეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს აღმაშფოთებელი დარღვევაა.

ეს საინტერესოა

ავტომობილი მუშაობს... სპირტით

ბოგიო, 7 მაისი. (საკდესი). იაპონიის ქალაქ ნაგოის ერთ-ერთ სამეცნიერო ლაბორატორიაში დადგა ავტომობილის საცდელი ნიმუშისა, რომლის ძრავა ტექნიკური სპირტით მუშაობს. „ბაბუსი“ — ასე უწოდეს კონსტრუქტორებმა ავტომობილს მედვინეობის ძველი რომაული ღმერთის პატივსაცემად — საათში 80 კილომეტრამდე სიჩქარეს ავითარებს. ახალი ავტომობილის შემქმნელები დიდ იმედებს ამყარებენ მასზე. ისინი აცხადებენ, რომ იმ პირობებში, როცა ბენზინის ღირებულება ტექნიკური სპირტის ღირებულებას უახლოვდება, ამ მოდელს დიდი მომავალი ექნება. ამასთან იგი პაერს არ აბინძურებს შხამიანი გამონაბოლქვი გაზებით.

ამერიკელი ტელეტაიპის ლენტიდან...

სესია გაიხსნა

◆ ჟენევა, 7 მაისი. (საკდესი). აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიის 26-ე სესია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეკომენდაციების შესაბამისად კომისია განაგრძობს მუშაობას, რათა მოამზადოს მრავალმხრივი კონვენცია სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ და პროექტი კონვენციისა ხელშეკრულებების მიმართ სახელმწიფოთა უფლებამონაცვლეობის შესახებ. კომისია განიხილავს აგრეთვე საკითხებს ერის უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის, სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებების შესახებ და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

აღმასრულებელი ბიუროს გადაწყვეტილება

◆ პარიზი, 7 მაისი. (საკდესი). რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირის პარტიის აღმასრულებელმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მხარი დაუჭიროს დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ერთიანული ფედერაციის ლიდერს ჟ. ეისარ დ' ესტენის კანდიდატურას. ეს გადაწყვეტილება მოიწონა რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირის პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა.

მეგობრობის კვირეული

◆ ბერლინი, 7 მაისი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იწყება გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციული კვირეული.

კვირეულის პროგრამით გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სახლში გაიმართება მრავალი შეხვედრა საბჭოთა კავშირის მუშათა დელეგაციებთან, ახალგაზრდულ და კულტურულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან, აგრეთვე მოკავშირეობა კონცერტები, გამოფენები, კინოფესტივალები.

მეგობრობის მაისის კვირეულში შეიძლ. აგრეთვე რუსული ენის საიუბილეო მეათე ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობენ მთელი რესპუბლიკის მოსწავლეები.

ჩამოაგდეს კერძო თვითმფრინავი

◆ ნიუ-იორკი, 7 მაისი. (საკდესი). იამაიკის სანაპირო დაცვის ნაწილებმა ჩამოაგდეს კერძო თვითმფრინავი, რეგისტრირებული ამერიკის შეერთებულ შტატებში. იამაიკის ხელისუფალთა განცხადებით, თვითმფრინავს იყენებდნენ ნარკოტიკების კონტრაბანდისათვის. ამ უკანასკნელ წელს იამაიკაში ხელი ეიდეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა რამდენიმე ეკრო თვითმფრინავი, რომლებსაც ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის იყენებდნენ. დაპატიმრებულია დაახლოებით 50 ამერიკელი კონტრაბანდისტი.

სისხლით სპეკულაცია

ბრაზილია, 7 მაისი. (საკდესი). ყოველწლიურად ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში იგზავნება ორ მილიონ ლიტრზე მეტი დონორის სისხლი. დონორის სისხლი ბევრი გაჰქვთ ბრაზილიიდანაც. როგორც ბრაზილიის მოხალისე დონორების ასოციაციის პრეზიდენტმა კარლოტა ოსორიომ განაცხადა, მედიცინის ამერიკელი ბიზნესმენები ჩილის ფასად ყიდულობენ ბრაზილიელ ლატაკთა სისხლს და არალეგალურად ამერიკის შეერთებულ შტატებში გზავნიან. ამასთან სრულიად უგულებელყოფენ სამედიცინო და სანიტარულ ნორმებს. კარლოტა ოსორიომ განაცხადა, რომ საჭიროა დაიკვანძოთ ამერიკის ქვეყნები მსგავსი ამერიკელი საქმოსნებისაგან, რომლებიც სისხლს იაფად ყიდულობენ და მისი გაყიდვით უზარმაზარ მოგებას იღებენ.

ლენინის თანამებრძოლი

ინესა არმანდი

ინესა არმანდის დაბადების 100 წლისთავის გამო

ინესა არმანდი, ბოლშევიკური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მებრძოლი, დაიბადა 1874 წლის 8 მაისს პარიზში. მამამისი ოპერის პომღერალი იყო, დედა — ნახევრად ფრანგი, ნახევრად ინგლისელი — ქსაჩიობი. მამა ახალგაზრდა გარდაიცვალა და დატოვა ქვრივი სამი პატარა კაცვითი. ექვსი წლის ინესა არმანდი მალე აღმოჩნდა მოსკოვში, სადაც იგი ჩამოიყვანა დეიდამ — მუსიკოსი და ფრანგული ენის მასწავლებელმა.

17 წლისამ ინესა არმანდმა მიიღო მასწავლებლის დიპლომი, ხოლო ორი წლის შემდეგ ცოლად გაჰყვა საფეიერო მეფაბრიკეს არმანდს, ფრანგი ემიგრანტების შთამომავალს. ათი წლის განმავლობაში მათ შეეძინათ ხუთი შვილი — სამი ბიჭი და ორი გოგოა.

ინესამ დაიწყო საქველმოქმედო საქმიანობა და ალე გადა მოსკოვის „ქალთა ბედის გაუჯობესების საზოგადოების“ თავმჯდომარე საზოგადოებრივი მუშაობის ამ პირველმა სკოლამ მას გააცნო მუშა ქალთა ძნიელ ცხოვრება.

იდესა დაფიქრდა მსოფლიოს სამართლიანი გარდაქმნის საკითხებზე, ასეთი გარდაქმნის გზებზე. მან გადაწყვიტა კავშირი გაეწყვიტა თაეის კლასთან.

მისი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო რევოლუციონერებთან დაახლოება 1903 წლის შემოდგომაზე ეზეიცარიაში გამგზავრებისას. ეზეიცარიაში დროს რუსული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი იყო. ინესა არმანდმა საფუძველიანად შეისწავლა სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა, გაეცნო ვ. ი. ლენინის ნაშრომები „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.

ოსკოვში რომ დაბრუნდა, 1904 წელს იგი შეეიდა რსდმ პარტიაში, ბოლშევიკთა რიგებში. როცა რუსეთში დაიწყო 1905 წლის რევოლუცია, ინესა პროფესიონალი რევოლუციონერი ხდება, ეწევა პარტიულ მუშაობას მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში. რევოლუციური საქმიანობისათვის იგი დაუპატიმრეს და ორი წლით გადასასლეს მეზენში, რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში.

1909 წელს ინესა არმანდი ემიგრაციაში წავიდა, ჯერ ბრიუსელში, შემდეგ პარიზში, სადაც მოხდა მისი პირველი შეხვედრა ლენინთან ვლადიმერ ილიას-ძეს უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. იგი ინესას თვალში გახდა რევოლუციური ბრძოლის ცოცხალი დრაშა და მთელ სიცოცხლეში მასწავლებელი და მეგობარი. ლენინმა ძალიან მალე ღირსეულად დაფასა შესანიშნავი რევოლუციონერი ქალი და გახადა იგი თავის უახლოეს თანამშრომლად. ინესა ხდება ბოლშევიკების პარიზის ჯგუფის ერთ-ერთი უაქტიურესი წევრი, ეწევა ვრცელ მიწერ-მოწერას საზღვარგარეთის სხვა ჯგუფებთან. გარდა ამისა იგი უბადლო იყო როგორც მთარგმნელი.

1911 წლის ზაფხულში ინესა არმანდი მონაწილეობდა პარიზის ახალს ლონგიუმის ლენინის პარტიული სკოლის მუშაობაში, სადაც კითხულობდა ლექციებს და ეწეოდა მეცნიერებითს პოლიტეკონომიაში. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მჭიდრო კავშირის დამყარებას საფრანგეთის მუშათა მოძრაობასთან. ამაში მას ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა ინესა არმანდი.

1912 წელს ინესა არალეგალურად ბრუნდება რუსეთში. და როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი დიდ მუშაობას ანარმოებს პეტერბურგში IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის მოსამზადებელად, მაგრამ იგი მალე დაპატიმრეს.

საპყრობილიდან განთავისუფლების შემდეგ ინესა არმანდი საზღვარგარეთ მიემგზავრება. 1914 წლის ზაფხულმა მას მოუსწრო ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. მას ძლიერ აღელვებდა პეტერბურგის საპყრობილეში პატიმრობის შემდეგ, რუსეთიდან მასთან შვილები ჩავიდნენ და იგი უსაზღვროდ ბედნიერი იყო. ის მუდამ იყო უერთგულესი და მშვენიერი დედა, მიუკიდავად დიდი მოუცვლელობისა და ემიგრაციაში რევოლუციური მუშაობის მთელი სიმძიმისა.

შვილებთან შეხვედრა დიდხანს არ გაგრძელებულა. მოვიდა ლენინის სასწრაფო წერილი. იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ინესა არმანდს სთხოვდა წასულიყო დელეგაციის შემადგენლობაში საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ბრიუსელის თათბირზე. 11 ინტერნაციონალის ეს აღმასრულებელი ორგანო ომის დროს ეცადა ერთიანობა დაეცვა. ინესა ხდება „ბოლშევიკების საქმეებზე“. მუშათა უაღრესად ფართო მასებში ბოლშევიკების წარმატებები აწუხებდა ვანდერველდს, კაუცკისა და სხვებს. ლენინის მიერ შეკრებილი ახალი ტიპის მებრძოლი რევოლუციური პარტია მათს სიიელეზეა იწვევდა. ბრიუსელის „გამაკეთილინებელ“ თათბირს კაუცკი იწვევდა იმისათვის, რომ „ბოლო მოეღო“ ბოლშევიზმისათვის, იმისათვის, რომ ძალდატანებით გაეერთიანებინა ბოლშევიკები მენშევიკებთან. 1914 წლის 6 ივლისს ლენინი ინესას სწერდა: „სულმე, როგორც ხედავ, ის არის, რომ უკიდურესად დიდმნიშვნელოვანია, რომ ძირითადი მოხსენება მაინც წაკითხულ იქნას მართლაც გონივრულად. ამისათვის საჭიროა მშვენიერი ფრანგული ენა, მშვენიერი, თორემ სხვანაირად შთაბეჭდილება ნოლი იქნება...“

ინესა არმანდმა ბრწყინვალედ გააკრთვა თავი ამ ამოცანას.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრულ კრებულში გამოქვეყნებულია ლენინის 100-ზე მეტი წერილი ინესა არმანდისადმი. და თვითეული მათგანი ეწყმობს ღრმა ნდობას, რასაც ლენინი გრძნობდა მისადმი, ლენინის რწმენას ამ შესანიშნავი რევოლუციონერი ქალის ძალისა და არაჩვეულებრივი ნიჭისადმი.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ინესა არმანდი ლენინის დავალებით აქტიურად მონაწილეობს ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის, ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციის, ინტერნაციონალისტთა ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციების მუშაობაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ინესა არმანდს ეჭირა პასუხსაგები პარტიული და საბჭოური პოსტები. 1918 წელს იგი სათავეში ედგა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ქალთა შორის მუშაობის განყოფილებას.

ინესას ჯანმრთელობა შელახული იყო კოლოსალური მუშაობით. მეკობრებისა და მახლობლების დაეიბული რჩევით 1920 წლის აგვისტოს ბოლოს დასასვენებლად წავიდა კავკასიაში. უკან რომ ბრუნდებოდა, ნალჩიკში ინესა არმანდი ავად გახდა ქოლერით და ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. იგი პატივისცემით დაკრძალეს წითელ მოედანზე კრემლის კედელთან.

საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრობის გულში სამუდამოდ დარჩა ამ შესანიშნავი ქალის, ლენინის თანამებრძოლის, საერთაშორისო კომუნისტიკური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ხსოვნა.

რაისა კაგანოვა,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ვისი ეუსიჭა საუკუნეებში იცოცხლებს

დიმიტრი არაყიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

ამ დღეებში საქართველო დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებს ქართული მუსიკის კლასიკოსს, შესანიშნავ ოსტატსა და მოქალაქეს, პირველ მუსიკოს-აკადემიკოსს დიმიტრი არაყიშვილს.

100 წელი გავიდა გამოჩენილი კომპოზიტორის დაბადების დღიდან. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საიუბილეო საღამო, რომელიც 6 მაისს გაიმართა საქართველოს დიდ საკონცერტო დარბაზში.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

— დღეს — თქვა მან, — დიდი სიყვარულითა და მადლიერებით აღინიშნავთ ჩვენი შესანიშნავი კომპოზიტორის, ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის ფუძემდებლის დიმიტრი არაყიშვილის დაბადების 100 წლისთავს. მისმა მემკვიდრეობამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის საგანძურში. იგი იყო თავისი ხალხის ერთგული შვილი. მის ნაწარმოებებში შერწყმულია ყოველივე ძვირფასი, რითაც ესოდენ მდიდარია ქართული ხალხური შემოქმედება. მან მშობლიურ ხალხს მისცა ბევრი შესანიშნავი ქმნილება.

მოხსენება დიმიტრი არაყიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა პროფესორმა გ. ჩხიკვაძემ. მან ილაპარაკა კომპოზიტორის თვითმყოფ და ბრწყინვალე ნიჭზე, მის ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. შესანიშნავი კომპოზიტორის ნაწარმოებები, — თქვა მომხსენებელმა, — მთელი საბჭოთა მუსიკალური კულტურის კუთვნილებად იქცა.

თავიანთ გამოსვლებსა და მოგონებებში საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა შ. მშვილიძემ, რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის მდივანმა ნ. მამისაშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ა. მაჭავარიანმა და ა. ბალანჩივაძემ აღნიშნეს, თუ რაოდენ პოპულარულია დ. არაყიშვილის ნაწარმოებები, რაოდენ ეროვნული და თვითმყოფია ცხოვრების სიმართლით გამსჭვალული მისი შემოქმედება.

საიუბილეო საღამოზე გამოვიდნენ ცნობილი სიმღერა და აზერბაიჯანელი კომპოზიტორები ვ. ორბელიანი და ხ. მირზა-ზადე, რომლებმაც შეასრულეს და მათი სახით საქართველოს მთელ მუსიკალურ საზოგადოებრიობას გადაეცა ამ მომძე რესპუბლიკების კომპოზიტორთა კავშირების მისალმებანი.

ქართველ მწერალთა სახელით საღამოზე გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ი. ნონეშვილი.

საღამოზე წაიკითხეს სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ვ. ფურცევას, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივნის ტ. ხრენიკოვისა და კულტურის სხვა თვალსაჩინო საბჭოთა მოღვაწეების მისასალმებელი დეპეშები.

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა საღამისასწაული კონცერტი, რომლის პროგრამაში შეტანილი იყო დ. არაყიშვილის ნაწარმოებები.

კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ტოფჩიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲐᲕᲔᲯᲘ — 75“

როგორი იქნება საქართველოს საწარმოების მიერ დაგზავნილი „ავეჯი-75“-ის ბაბასად? რა ახალი სახის ნაწარმის ჟიდვის საშუალება ექნება მომხმარებელს? ამ კითხვებზე პასუხს „ᲛᲘᲚᲘᲢᲘᲐ“ თ, თუ დაათვალიერებთ რსუკშლის ხმ-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის საბინისტროს საავეჯო საწარმოების გამოფენა-მაყიდვას „ᲐᲕᲔᲯᲘ-75“, რომელიც საბინისტროს ახალ საბაზოფენო დარბაზში დიდუბის ქუჩაზეა.

გამოფენაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს 14 საწარმო და ადგილობრივი მრეწველობის ის საწარმოები, რომლებიც ძირითადი პროდუქციის პარალელურად რკინის საწოლებს ამზადებენ. 100-ზე მეტი დასახელების ნიმუშებიდან 15 ნაწარმს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს, ხოლო რამდენიმე მათგანი წარდგენილია მის მოსაპოვებლად.

— ასეთი გამოფენა-გაყიდვა ტრადიციად იქცა, იგი გვემზარება შეკვისწავლოთ მომხმარებლის, მოთხოვნილება და ამ გზით განვავითაროთ ჩვენი წარმოება, — გვითხრა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო ტექნიკური განყოფილების გამგემ პროკოფი ᲪᲐᲚᲐᲫᲔ, — წელს იგი მეათედ ტარდება, და, ვფიქრობთ, უკეთეს პირობებში — გვაქვს ახალი დარბაზი, სადაც არა მარტო ნიმუშების „ჩვენების და საეკონომიკო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების დადების საშუალება გვქონდა, არამედ ნიმუშების შენახვის შესაძლებლობაც მოგვეცემა. ისინი დაილუქება და საავეჯო ორგანიზაციების პრეტენზიების განხილვა ამ ნიმუშების მიხედვით მოხდება.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან საწარმოებსა და საავეჯო ორგანიზაციებს შორის დავა ხშირად სერიოზულ ხასიათს იღებს.

გამოფენამ მიიღო დამთვალიერებლები და მომხმარებლები, საქართველოს სსრ ეკონომიის საბინისტროსა და ცეკავშირის სისტემის საავეჯო ორგანიზაციებმა უკვე დაღეს ხელშეკრულებები საავეჯო საწარმოებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ გაისად სწორედ იმ პროდუქციას მიიღებს მომხმარებელი, რომელიც აქ, ამ გამოფენაზეა გამოტანილი.

იმედია, პროდუქციის მასობრივი სახეც ისეთივე კარგი და მიმზიდველი იქნება, როგორი სახეც ამ ნიმუშებს გამოფენაზე აქვთ.

Ა. ᲒᲐᲒᲔᲚᲐᲘᲐ,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების III კურსის სტუდენტი, პრაქტიკანტი.





ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲙᲐᲜᲜᲝ ᲘᲧᲝ

რამდენიმე წლის წინათ გლდანის ველი უკაცრიელი იყო, დღეს კი აქ საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი მსხვილი ახალი დასახლებაა, სადაც ათასობით ადამიანი ცხოვრობს. მრავალსართულიან სახლებში ახალმოსახლეობას ყოველთვიურად ზეიმობენ თბილისელები:

უკანასკნელ ხანს ამ ახალ მიკრორაიონში საბინაო მშენებლობასთან ერთად ფართოდ გაჩაღდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაც, რაც აქამდე საგრძნობლად ჩამორჩებოდა; საექსპლოატაციოდ გადაეცა პოლიკლინიკები, სბავშვო ბაღები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საწარმოები, სკოლები.

თანდათან უმჯობესდება მასივის კეთილმოწყობაც, ეზოებში ეწყობა ხეკერები, ქუჩებში ირგვება მცენარეები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — შენდება საცხოვრებელი სახლების კომპლექსი. მარჯვნივ — ახალი სახლი მობინადრეებს ელის; ქვემოთ გლდანის მასივის მეორე მიკრორაიონის ახალი № 81 ბაგა-ბაღის პატარა ბინადარნი.

თ. ᲭᲘᲛᲨᲘᲕᲘᲚᲘᲡ და Მ. ᲩᲘᲠᲜᲘᲫᲚᲐᲨᲕᲘᲡᲐᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲕᲘᲐᲜᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). „დატბეულ კეთილი ყალი სკოლის ცხოვრებაში“ — ამ დეკემბერი მოქმედებდა სოფელ კაცხის საშუალო სკოლის ყოველი მოსწავლე, როცა მათ გადაწყვეტეს სკოლის ეზოში ახალგაზრდობის ხეივანი გაეშენებინათ. მოსწავლე კომკავშირელებმა თქვეს და სიტყვა საქმით დაამშვენეს.

სკოლის ეზოში მალე კვიპაროსების ტყე იშრიალებს.

მᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ

თბილისში, ძერჟინსკის ქუჩის ერთ-ერთი დიდი სახლის ბელეტაჟის სართულის საღარბაზოსთან კედელზე ყურადღებას იქცევს პატარა მემორიალური დაფა, რომელზეც აღნიშნულია, რომ აქ მხატვარ ირალი გამრეკელის სახლ-მუზეუმია. შედიხარ შიგ და გაკვირვებული შეაკურებ კედლებს. ყველგან. წინკარში თუ ოთახებში კედლები ლამაზ ჩარჩოებში ჩამოდარი მხატვრის ნამუშევრებით არის მოკვეთილი და დიდი გემოვნებით, ყანონრნივად განლაგებული.

აი ჯერ კიდევ 1923 წელს კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლების „სალომეიას“, „ჰამლეტის“, „კაცი სარკიდან“, „ეილჰელმ ტელის“ დადგმების ესკიზები. მათ მოსდევს სანდრო ახმეტელის სპექტაკლების „ზაგარეულის“, „აწუხრის“, „თეთნულდის“, „ინ ტირანოსის“, „ლამარას“, „რღვევის“ და სხვა დადგმების ესკიზები. ყველა მათში მხატვრის უდიდეს ნიჭს, ფაქიზ გემოვნებას და ფერების ბრწყინვალე შეხამებას ამოიკითხავთ. სიამაყის გრძნობა გეუფლება, როცა თვალს ავლებ ი. გამრეკელის ამ შთამბეჭდავ შედევრებს. მერე როგორ სათუთად არის მოვლილი. ყოველი სურათი შეხამებულ ჩარჩოშია. ნათელი და დიდი ოთახის შუაგულში მრგვალი მაგიდა დგას, ზედ შთაბეჭდილების რამდენიმე ალბომი, აუარებელი დეპეშები და მილოცვის ბარათები აწყვია. ეს ყველაფერი 15 წლის მანძილზეა, ი. გამრეკელის მეუღლემ — მამის მხრივ ვაჩნაძის ასულმა, ხოლო დედის მხრივ დეკაბრისტ ა. მ. მურავიოვის შვილიშვილმა ელენე ალექსანდრეს ასულმა შეკრიბა-შეაგროვა, მუზეუმად აქცია.

ფურცლავ შთაბეჭდილების ალბომებს და ვის აღფრთოვანებულ ჩანაწერს არ ხედავ: ჩვენი თვალუწვდენი საშშოლოს ცნობილი ფარფოლადგენლის, იპპოლიტისა თუ ინგლისელის, ნორვეგიელისა თუ იტალიელის, ფრანგისა თუ ესპანელის...

აი ამ დღეებშივე, მუზეუმის შექმნის 15 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენი საშშოლოს ყველა კუთხიდან — დაწყებული ლენინგრადის ერმიტაჟიდან და დამთავრებული სოფელ მირზაანში არსებული ფირფოლმანის მუზეუმით, მოლოცვის დეპეშა დეპეშაზე მოდის. ი. გამრეკელის ქვრივი კი ყოველ ფურცელს სიყვარულით უვლის და ერის მემკვიდრეობად აქცევს.

Თ. ᲦᲕᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ

ᲞᲠᲔᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲤᲐᲠᲘ?!

რᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ „105 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ“ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲒᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘ?

ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ წლის წინათ თბილისელმა გვირაბგამყვანებმა მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — დედაქალაქის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე ერთ თვეში გაიკვალეს 105 გრძივი მეტრი მოლაბი კვეთის ძმა გვირაბი. დღემდე ძაოფლიოში ამ რეკორდისათვის არავის მიუღწევია.

ცხადია, მკითხველი მიხვდა, რომ ადამიანი შიშველი ხელებით ასეთ დიდ მანძილს ამ დროში მიწისქვეშ ვერ გაივლიდა, ამაში მას ვერც ხიბანი და ბარი დაეხმარებოდა. ეს მხოლოდ თანამედროვე ტექნიკის მეოხებით გაიდა შესაძლებელი, მაგრამ, რაც არ უნდა ეყოს, ეს რეკორდი მაინც ფანტასტიკურია, რადგან გვირაბის დიამეტრი 5,65 მეტრია, და წინ ერთი მეტრი რომ ყაიწონ, 25 კუბური მეტრი ქანი უნდა მოანგრიო, გამოწიდო, კედლები გაამაგრო.

თბილისელმა გვირაბგამყვანებმა ყველაფერი ეს კომპლექსურად გადაჭრეს იმ გვირაბგამყვანი ფარის საშუალებით, მოსკოველი მეტრომშენებლებისაგან რომ მიიღეს, მაგრამ არა უცებ, არამედ ბევრი უძალო ღამის, თავდადებული შრომის, ძიების შემდეგ. „ეს ფარში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს, ძირეულად გადაახალისეს ცალკეული მისი კვანძები, გააუმჯობესეს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. მოსკოვური ფარი თბილისელმა გვირაბგამყვანებმა იმდენად შეცვალეს, რომ მას მოსკოვური აღარაფერი შერჩა, ფაქტიურად ახალ აგრეგატად მოგვეელინა და სამართლიანად უწოდეს კიდეც მას 105 მექანიზებული ფარი — „თბილისური“.

მისი მექანიკოსისა და ეკიპაჟის უნარის წყალობით ამ ფარმა კარგა ხანს იმუშავა მიწის ქვეშ. მეტროპოლიტენის გადასარბენების დიდი ნაწილი მისი მეოხებით „გაიბურღა“.

„105 თბილისურმა“ გაკვეთა 900 მეტრი გვირაბი სადგურ „ლენინის მოედნიდან“ „26 კომისრამდე“, 700 მეტრი — „800 არაგველიდან“ „ისნამდე“ და 180 მეტრი — სადგურ „საგორისაკენ“.

ეს სამუშაოებს რომ მორჩნენ, ფარი დაშალეს და წერილის პროსპექტზე № 21 მაბტმი გადმოიტანეს, რომ საბურთალოს მეტროპოლიტენზეც ასეთივე ფარი დადგეს. ფარის ფასი 1 მილიონ 600 ათასი მანეთია. ეს ფარი ჩრდილს აყენებს თბილისელ ინჟინერ-ტექნიკოსებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს,